ცნობის ფურცელი

№ 2290 | კვირა, 12 ოქტომბერი | 1896—1903 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2290

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

წარმოდგენა 7 ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

კვირას, 12 ოქტომბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

ორი ჯიბგირი

პიესა 5 მოქმ. და 7 სურ. თარგ. ვ. აბაშიძის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ნ. დავითაშვილი, მ. მდივანი, ა. როინელი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი აკაკი

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

კვირას, 12 ოქტომბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

I

პაიაცი

ოპერა 2 მოქმედებად, მუსიკა ლეონკოვალოსი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი რენე-რადინა; ბ-ნნი: ფიგნერი, სელიავინი, ამირჯან, ევლახიშვილი, გრინევი, გავრილოვი.

II

გლეხური ქორწილი

კრაკოვური ბალეტი 1 მოქ. მუს. სტეფანი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ი. პოზენი.

ანონსი: 13 ოქტომბ. იაფ-ფას. წარმ. „ტრავიატა“ ვერდისა. მზადდება წარმ. „ფრანჩესკო და რიმინი“, ნაპრავნიკისა. (ნ.)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიძის ლიკა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კაპოეკი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენ შვილი.—კბილისა, 10 ს.—11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიან.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

იაფ-ფასიანი

ქართული სამკითხველოები

„ქ. შ. წ. კ. საზოგადოებისა“

პირველი—იმყოფება თავად-აზნაურობის ქარვასლაში №32

მეორე—ვერაზედ ოლგას ქუჩაზედ, № 19

სამკითხველო ღია არის ყოველ დღე დილით 10—2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე. კვირა-უქმე დღით მხოლოდ 11—1 საათამდე. სამკითხველოში მოიპოვება გარდა ყველა ქართულ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა, ახალი რუსული ჟურნალები. (უ. 3—3)

ნაფიცი ვექილი

გვაზავა

გადავიდა ფრეილინის ქუჩაზე, № 15. (5—5)

საზღვარ-გარედ

იაპონია. ზოგიერთი ინგლისური გაზეთი ირწმუნებოდა, შორეულ აღმოსავლეთში საცაა ზარბაზანი დაიქუხებს და იქიდან ისეთი დეპეშები მოვა, რომ თითო სიტყვა თითო რამეს ეღირება, ყველას დამწვარი გული გაუნელდება და მაისის ვარდივით გაეშლებაო. მზის ამოსვლასავით ელოდნენ ინგლისელები ომის გამოცხადების ამბავს, მაგრამ, ჯერ-ჯერობით მაინც, ისეთი გულის გამხარებელი ამბავი არა მოჰსვლიათ რა შორეულ აღმოსავლეთიდან. ომის იმედი მაინც დღესაც არ გაჰცრუვებიათ და დღესაც ბევრი მოელის იაპონიისაგან მწუხარებიდან დახსნასა...

თუმცა ომი ჯერ არ გამოუცხადებიათ, მაგრამ ყველაფრიდან სჩანს, რომ შორეულ აღმოსავლეთში მაინც დიდი ამბები მოხდება. რუსეთსა და იაპონიას ჯერ ისევ მოლაპარაკება აქვთ ტოკიოში და ჯერ არავინ იცის, ეს მოლაპარაკება რით გათავდება, რომელი სახელმწიფო გაიტანს თავისას და რომელი დასთმობს. რუსული გაზეთები ირწმუნებიან, რუსეთი მაგრად დგას და მანჯურიიდან ჯარის გაყვანას სულაც არა ჰფიქრობსო. ამ საქმეზე რუსეთი იაპონიას ლაპარაკს არც კი დაუწყებს; მანჯურია ჩინეთის პროვინციაა, ამიტომ მანჯურიის საქმე მარტო ჩინეთსა და რუსეთს ეკითხებათ; იაპონია კი სულ ტყუილად ერევა ამ საქმეშიო. რუსეთი მანჯურიიდან ჯარის გაყვანას ჯერ-ჯერობით გუნებაშიაც არ გაიტარებს, რადგან ჩინეთს ჯერ არა აქვს იმისი თავი, რომ მანჯურიაში სრული წესიერება და რუსეთის რკინის გზა რიგზე დაიცვას. იაპონია ვერც მანჯურიისა და ვერც კორეის გულისათვის ომს ვერ გამოუცხადებს რუსეთსაო. „ნოვოე ვრემია“-ს 5 ოქტომბერს დეპეშით ატყობინებენ ვლადივოსტოკიდან: „შორეულ-აღმოსავლეთის მთავარ-მართებლის ალექსეევის თავდაჭერილ, მაგრამ ამასთანავე მედგარ პოლიტიკის წყალობით, როგორც ეტყობა, იაპონიასა და რუსეთს ომი აღარ მოუვათ, მანჯურიაც ჯერ ისევ რუსეთის ხელში დარჩება“.

საზოგადოდ რუსულ გაზეთებს არ სჯერათ, რომ შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობა დაირღვეს და იაპონიამ რუსეთს ომი გამოუცხადოს. „ნოვოსტი“ ამბობს: იაპონიას ხელის ჭუჭყი აკლია, არც არავინ ასესხებს; ამიტომ, არა გვგონია, ომი გაბედოსო. გაზეთი ისე არაფრად აგდებს იაპონიას, თითქო იაპონია დიდი სახელმწიფო კი არა, ჩვენებური გახუნებული, ჯიბე-გახვრეტილი აზნაური იყოს და ბ-ნ მიქელაძის ბანკიდან ვექსილით ფულის გამოტანა უჭირდეს. „პეტერბურგსკი ვედომოსტი“-მ ერთ წერილში დასწერა: იაპონია ომს კი არა, „ბუნტს“ აპირობს რუსეთის წინააღმდეგაო და ისე კადნიერად იხსენიებდა იაპონიას, თითქოს იაპონიის „ბუნტის“ ჩასაქრობად ერთი „სოტნა“ ყაზახი და 20-ოდე „გოროდოვოი“ კმაროდეს. ამ გაზეთს, ეტყობა, უფრო ჩინეთის აშლისა ეშინიან, ვიდრე იაპონიის ომისა. „ნოვოე ვრემია“-საც არა სჯერა, რომ იაპონიამ რუსეთს ომი გაუბედოს; ესეც არაფრად აგდებს იაპონიას. ბ-ნმა მენშიკოვმა „ნოვოე ვრემია“-ში მთელი ფელეტონი უძღვნა შორეულ-აღმოსავლეთის საქმეს და ვიღაც გენერლის პირით მეტად ცუდი დღე დააყენა იაპონელებსაც და მთელ ყვითელ მოდგმასაც (ჩინელებს, მანჯურებს, კორეიელებს). გენერალი, ესე იგი თითონ ბ. მენშიკოვი, სულ არაფრად აგდებს იაპონელებს და მათი არაფერი არა სწამს, არც განათლება, არც ჯარი, არც ზარბაზანი, არც ფლოტი და არც გულადობა. იაპონელები ჩვენთან ვერ მოვლენ, ტყუილად თავხედობენ, კარგი იქნება ჭკუა ვასწავლოთო. რატომ თავიანთ კუნძულებზე არ დაეყრებიან და სხვის საქმეში რად ერჩებიანო? მანჯურია და კორეია რა იმათი საქმეა, რაში ეკითხებათო! კარგს იზამს ჩვენი მთავრობა, იაპონიას ომი გამოუცხადოს და სულ „ბრე გაადინოსო“. მამაცმა ფელეტონისტმა რუსეთის მთავრობასაც არაღ აცალა და „ნოვოე ვრემია“-ს ფურცლებზე თითონვე ბუმბულის ზარბაზნების საშინელი ჭექა-ქუხილი ააყენა და იაპონელებს, ალბად, სულ გულები დაუხეთქა... „კურიერ“-საც არა სჯერა, რომ შორეულ-აღმოსავლეთში ეხლავე, ამ ზამთრის პირში, ომი ასტყდეს. ზამთრობით ომი თავის დღეში არ მომხდარაო. იქნება ამ გაზეთის შენიშვნა სამართლიანიც იყოს. „რუსკია ვედომოსტი“-მაც მოწინავე წერილი უძღვნა ამ საქმეს. გაზეთის აზრით, რუსეთი, რასაკვირველია, გაცილებით ძლიერია იაპონიაზე, მაგრამ მაინც ყოველი ღონე უნდა იღონოს, რომ იაპონიასთან ომი თავიდან აიცილოს, რადგან ეს ომი მეტად დიდი ფული დაჯდება და გინდ რუსეთმაც გაიმარჯვოს, მაინც დიდ ზარალს მოუტანს რუსეთსაო.

რუსულ გაზეთებს, მომეტებულ ნაწილად, არა სჯერათ, რომ იაპონიამ ომი გაბედოს. ინგლისურ გაზეთების აზრით კი, თითონ რუსეთიც ვერ გაჰბედავს ომსა. რუსეთის და იაპონიის ურთიერთობაზე ინგლისურმა გაზ. „მორნინგ პოსტ“-მა ვრცელი წერილი დაბეჭდა. ეს წერილი ერთ წარჩინებულ მცოდნე კაცის კალამს ეკუთვნისო,—აცხადებს გაზეთი. წერილში ნათქვამია:

„ტყუილია ის ხმა, ვითომ იაპონიას რუსეთისათვის ულტიმატუმი გაეგზავნოს. იაპონია არც იქმს ასეთ საქმეს, რადგან ულტიმატუმის გაგზავნას დიდი საშიში ამბები მოჰყვება. იაპონიას უნდა, რუსეთს კორეიაზე ხელი აღებინოს. იაპონიამ დიპლომატიურად, მაგრამ მეტად მკაფიოდ, გააგებინა რუსეთს, კორეიაში სხვისა ბატონობას არაფრის გულისათვის არ დავსთანხმდებიო და ამასთანავე მოითხოვა, რუსეთის მთავრობამ პირობა მომცეს, რომ კორეიას სამუდამოდ თავს დაანებებს და თავის გავლენის წრეში არ მოაქცევსო (ჩვენებურად, გასაგებად რომ ვსთქვათ, იაპონიას უნდა, რომ რუსეთს სუფთად, წმინდად ხელი დააბანინოს კორეიაზე).

ამ საქმეზე დღემდე მოლაპარაკება აქვთ გამართული. იაპონია მანჯურიიდან ჯარის გაყვანაზე არას ამბობს. თითონ რუსეთი ეცადა, რომ ეს საქმეც კორეის საქმესთან გათავებულიყო. რუსეთმა წინადადება მისცა იაპონიას, პირობას მოგცემთ, რომ კორეიაზე ხელი ავიღო, მხოლოდ იაპონიამაც პირობა მომცეს, რომ მანჯურიიდან ჯარის გაყვანა არას დროს არ მომთხოვოსო. იაპონიამ უარ-ჰყო ეს წინადადება, რადგან, იაპონიის აზრით, კორეიასა და მანჯურიის საქმეს არაფერი კავშირი არა აქვთ ერთმანეთთან. კორეიაში მხოლოდ რუსეთსა და იაპონიას აქვთ ინტერესები, მანჯურიაში კი ამ ორ სახელმწიფოს გარდა, ამერიკასა და ინგლისსაც დიდი ინტერესები აქვთ. ამიტომ მანჯურიის თაობაზე იაპონია ამერიკისა და ინგლისის დაუკითხავად, მარტო თითონ არას ითავებსო. მოკლედ რომ ვსთქვათ, კორეია არსებით საჭიროებას შეადგენს იაპონიისათვის, მანჯურია კი არა. ასე რომ, თუ რუსეთმა კორეიას საქმეში იაპონიას არ დაუთმო, შეიძლება დიდი ამბები მოხდეს“.

მოხდება ომი თუ არა?—გაზეთი ამაზე გაბედვით არას ამბობს, მაგრამ მაინც ჰფიქრობს, იქნება, რუსეთმა დაუთმოს კიდეც იაპონიას, რადგან კორეია მაგდენად საჭირო არაა რუსეთისათვისაო. იაპონიისათვის კი აუცილებლად საჭიროა, რომ კორეია ან დამოუკიდებელი დარჩეს, ან იაპონიის გავლენას დაუმორჩილდესო. ამის შემდეგ გაზეთი ამბობს:

„ომს იმიტომაც არ უნდა მოველოდეთ, რომ რუსეთსაც და იაპონიასაც ფული აკლიათ, ომი კი უსათუოდ დიდხანს გასტანს და ძნელი სათქმელიცაა, რით გათავდება. ამას გარდა რუსეთმა არც ის იცის, როგორ მოიქცევა, ვის მიემხრობა ჩინეთი. იაპონია და ჩინეთი შეთანხმდნენ და რამე პირობა შეკრეს, თუ არა? ეს ჯერ არც სხვებმა იციან, არც რუსეთმა, მაგრამ თუ ვინიცობაა ომი დაიწყო, იქნება, ჩინეთიც იაპონიას მიემხროს. ჩინეთს 60 ათასი ევროპიულად ნასწავლი და შეიარაღებული ჯარის-კაცი ჰყავს და ომის დროს ეს ჯარიც საქმეს გაუჭირებს რუსეთს. ომი რომ მოხდეს, ციმბირის რკინის გზასაც რამდენისამე ათას ვერსტის სიგრძეზე ცუდი დღე დაადგება. როცა შორეულ-აღმოსავლეთის საქმესა და ომსა და მორიგებაზე ჰფიქრობთ, ეს ყველაფერი კარგად უნდა ასწონდასწონოთ“.

ახალი ამბავი

◆ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა ჰფიქრობს **გზის მოსამსახურეთა** ერთ-ერთ დამხმარებელ საზოგადოების დაარსებას. ახალმა საზოგადოებამ დახმარება უნდა გაუწიოს ხოლმე იმათ, ვინც ავადმყოფობისა ან შრომის უნარის დაკარგვის გამო სამსახურს თავს გაანებებს. ამ საქმის მოსაწყობად ბ-ნ ივანოვსკის თავმჯდომარეობით შესდგა კომისია.

◆ თავ. **ი. წ. წულუკიძის მოკვლის** შესახებ „კავკ.“-ში ვკითხულობთ: ამ რამდენისამე წლის წინად განსვენებულმა წულუკიძემ თავის მამულის ნაწილი დედალაურში შინაურის პირობით მიჰყიდა გლეხებს თომა კაშიბაძეს, დათიკო სალარეიშვილს, ბესარიონ ხვიჩიას, კოსტა პაპავას, თომა სულუხიას და ვასილ სულაბერიძეს. ამათ ხელში იყო დღემდე ნაყიდი მამული. სექტემბრის პირველ რიცხვებში თავ. წულუკიძემ მოისურვა თავისის მამულის დაგირავება მიხეილის თავად-აზნაურთა ბანკში, ამიტომ მიიწვია დამფასებელი და მიწის-მზომელი, რომელთაც დასაგირავებელ ადგილში ჩარიცხეს გაყიდული ადგილებიც. გლეხებმა დამფასებელთა და მიწის-მზომელს პროტესტი განუცხადეს და განსაკუთრებული განცხადება წარუდგინეს ბანკის გამგეობას. მაშინ თავ. წულუკიძე დაემუქრა გლეხებს: თუ მამულის დაგირავებას დამიშლით, წაგართმევთ როგორც მამულს, ისე წლევანდელს მოსავალს, ხოლო თუ დამთანხმდებით, პირობას გაძლევთ, რომ ბანკიდან ფულის მიღებისათანავე ფულს დაგიბრუნებთო. თავ. წულუკიძის ასეთის საქციელით გაბრაზებულმა გლეხებმა შეთქმულება მოახდინეს: 17 სექტემბერს, დილის 8 საათზე ჩაუსაფრდნენ ნაბადნარში, დედილაურიდან ორის ვერსის

მანძილზე, და თოფით მოჰკლეს. მკვლელობა ჩაიდინა იასონ თომას ძემ კაშირიძემ და იმისმა მახლობელმა ნათესავმა ელიზბარ ჰოლოკავამ, მელიტონისა და თომა კაშიბაძეების დახმარებით. მკვლელნი დააპატიმრეს.

◆ როგორც „ტიფ. ლისტ.“-ს ატყობინებენ, 6 ოქტომბერს ბორჩალოს მაზრაში **თათრებს მოუკლავთ** ურიადნიკი ვანიშვილი და დარაჯები ტუხაევი და სოლომონოვი. ვანიშვილი დარაჯებთან ერთად ყაზახის მაზრის საზღვართან მეცხვარეებთან მისულა გასაჩხრეკად. როდესაც გაუჩხრეკია, მიახლოვებია მეცხვარეებს (12 კაცი იყო) და მოუთხოვნია იარაღი. ამ დროს მეცხვარეებს უკან დამალულ ყაჩაღებს თოფები გაუსროლიათ და სამივენი იქვე მოუკლავთ. მესამე დარაჯი, წერეთაშვილი, მოშორებით მდგარა, უსროლია თოფი და ერთი ყაჩაღი დაუჭრია. ჰფიქრობენ, ყაჩაღნი ნაბი-იაკუბოღლის ბრბოს ეკუთვნიან.

◆ 10 ოქტომბერს საფინანსო კომისიამ განაგრძო განხილვა ქალაქის შემოსავლის სავარაუდო აღრიცხვისა. ამავე სხდომაზე კომისიამ განიხილა ამა 1903 წლისათვის შედგენილი **დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა**, რომლითაც უნდა გადაიდვას 20 ათასი მან. გამგეობას საჭიროდ მიაჩნია 10 ათასი მან. გადაიდვას იმ ფულიდან, რომელიც ფილტრებისა შესაძენად არის ნავარაუდევი. კომისია არ დაეთანხმა გამგეობას: იმის აზრით 20 ათასი მანეთიდან უნდა გამოირიცხოს 2000 მან., ხოლო 18 ათასი მანეთის დახარჯვის ნება უნდა მიეცეს გამგეობას იმ ფულიდან, რომელიც შემოვა გაძლიერებულ დასაფასებელ გადასახადისაგან.

◆ 24 სექტემბერს კახეთში, სოფ. ფშაველს, **გაუქურდნიათ წმ. გიორგის ეკლესია** (წყაროს თავი). ქურდებს მოუკლავთ დარაჯი მიხეილ ხეტელაშვილი, ეკლესიაში ყველაფერი მიუნგრ-მოუნგრევიათ და წაუღიათ რამდენიმე მანეთი ფულად და სხვა-და-სხვა ნივთები.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრად ნამყოფი **მ ს. შესტაკოვი**, რომელიც საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრად დაინიშნა, გუშინ გამოეთხოვა გამგეობის მოსამსახურეთ. გამგეობის ზოგიერთა მოხელეებმა ბ-ნ შესტაკოვს გამოთხოვების დროს ვერცხლის ალბომი გადასცეს.

◆ კავკასიის უმაღლესს მთავრობას გადაუდია 4 ათასი მანეთი ტფილისის გუბერნიაში **საერობო გზების შესაკეთებლად**.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა ის **სავალდებულო დადგენილებანი**, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ ქალაქის ბეითლებმა და ხორცის დუქნების კომისიამ და გამგემ.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა: კუკიის პირველ-დაწყებით სასწავლებელს ეწოდოს **პეტრე დიდის სახელობის სკოლა**.

◆ **ბ-ნ შესტაკოვის ადგილას** ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრად, როგორც „ტიფ. ლის.“-ს გაუგია, ასახელებენ ლ. ფ. ტიგრანოვს, მდივანს ს. ფ. ჰრელაშვილს, დ მ. ი. სვეჩნიკოვს.

◆ როგორც „კავკ.“-ს დეპეშით ატყობინებენ, გუდაუტთან 10 ოქტომბერს **დამსხვრეულა გემი** „პრინც ოლდენბურგსკი“. მგზავრები, 70 კაცი, გადაურჩენიათ.

◆ დღეისათვის დანიშნულია სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქის გამგეობის 1902 წლის მოქმედების ანგარიშის რევიზია. კომისიის წევრები დაათვალიერებენ ამ დღეს ქალაქის სახლებს, თავ-შესაფრებს და სხვ.

◆ 9 ოქტომბერს ნაშუადღევის 2 საათზე გეურქ ატოევის ავეჯის მაღაზიაში ვინმე ევგალია უნდენოვისას აზოტის სიმჟავე დაულევია. როცა უნდენოვისა მიხეილის სამკურნალოში მიიყვანეს, განაცხადა: ატოევმა, რომელიც ჩემთან სცხოვრობს, მოკვლა, მომინდომა და რაღაც სასმელის მაგივრად აზოტის სიმჟავე შემაპარა და მომწამლაო. გამოძიება სწარმოებს.

◆ სოფელ გომის მცხოვრები ივანე ორბენაშვილი 8 ოქტომბერს ელიზავეტპოლის ქუჩაზე, ციციკოვის სახლის მესამე სართულიდან უცაბედად გადმოვარდა და იქვე გარდაიცვალა. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

—

დღევანდელ №-თან ხელის მომწერთ ურიგდებათ სურათებიან დამატების მე-158 №, რომელშიაც მოთავსებულია: „სიმღერა“, ლექსი კ. გოგოლაძისა; „მელცნებე“, ლექსი სისებური, ია ეკალაძისა; „აირო“, მოთხრობა, თარგმ. ახმეტელაშვილისა. პორტრეთები: ბარონ დე-ბაის, იაპონიის იმპერატორისა და დედოფლის; ორი სურათი იაპონიის ცხოვრებიდან და სამი კარიკატურა.

დამატების შემდეგ ნომრებში მოვათავსებთ რამდენსამე სურათს იაპონიის ცხოვრებიდან.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 9 ოქტომბერს დედათა წმ. ნინოს სასწავლებელს გამოეთხოვა ამ სასწავლებლის ეკლესიის მღვდელი და სამღვთო სჯულის მასწავლებელი ალექსი გიორგაძე, რომელიც სწავლის განსაგრძობად სასულიერო აკადემიაში წავიდა. გიორგაძეს რკინის გზის სადგურამდის გაჰყვნენ სასწავლებლის მოწაფე ქალები, გიმნაზიელები და დიდძალი საზოგადოება. როგორც გავიგეთ, გიორგაძის ადგილზე დაუნიშნავთ მღვდელი სპ. ლეკვეიშვილი, რომელიც ამ ჟამად საეპარქიო სასწავლებელში სამღვთო სჯულის მასწავლებლად.

რუსეთის ქრონიკა

◆ დეპეშებიდან მკითხველებმა უკვე იციან, რომ უმაღლესის ბრძანებით დაარსდა პეტერბურგში „შორეულ აღმოსავლეთის განსაკუთრებული კომიტეტი“. კომიტეტის თავმჯდომარედ ხელმწიფე იმპერატორია; წევრებად: მინისტრები შინაგან საქმეთა, ფინანსთა, გარეშე საქმეთა, სამხედრო, საზღვაო და სხვანი. ნამესტნიკი კომიტეტის წევრად ითვლება და სხდომას მაშინ დაესწრება, როდესაც პეტერბურგში იქნება. ამ კომიტეტმა უნდა გაარჩიოს სანამესტნიკოს უსაჭიროესი საქმეები. კომიტეტმა, სხვათა შორის, უნდა განიხილოს შემდეგი საქმეები: მართვა-გამგეობის დამყარება შორეულ აღმოსავლეთში; შემოსავლისა და ხარჯის სავარაუდო აღრიცხვა; სავაჭრო და სამრეწველო საქმეები; დადგენილებათა გაუქმება და სხვა.

◆ რუსეთის რკინის გზების მოსამსახურეთაგან ძალიან ბევრნი მიდიან თურმე აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე ახალ ადგილების საშოვნელად. ამ ჟამად იმდენი ხალხია მისული, რომ მესამედისთვის არ არის ადგილი. ამისათვის აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის უფროსი, სთხოვს რუსეთის რკინის გზათა უფროსებს დათხოვნილ მოსამსახურეთ ნუ მისცემენ ჩინეთის გზაზე სამგზავრო ბილეთს მანამდე, სანამ თვით ჩინეთის რკინის გზის უფროსიდან არ მიიღებენ ცნობას მოწვევის შესახებ.

◆ პეტერბურგში არსდება ახალი საზოგადოება „ზრუნვა ბავშთათვის“, რომელსაც აზრადა აქვს, მოუაროს და უპატრონოს პეტერბურგისა და ახლო-მახლო მდებარე ადგილების ღარიბ მცხოვრებთა ბავშვებს: ასწავლოს რაიმე ხელობა, ან ხელსაქმე და მოამზადოს სახლში მოსამსახურეებად.

◆ პეტერბურგის სამაზრო საერობო კრებამ განიხილა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ აღძრული საკითხი, საერობო საარჩევნო კრებებზე მონაწილეობის მისაღებად არსებულ ცენზის შეცვლის შესახებ. ამ საკითხის შესახებ სამაზრო საბჭომ კრებას წარუდგინა მოხსენება, რომ ცენზის შემცირება არ არის სასურველი, რადგან ცენზის შემცირებით შეიძლება კრებაზე ისეთი ელემენტები მოხვდნენ, რომელნიც ერობას ზიანს მოუტანენ. თუმცა კრების თავმჯდომარე რამდენჯერმე შეეკითხა კრების წევრთ, გამოეთქვათ თავიანთი აზრი ამ საკითხის შესახებ, არც ერთმა ხმოსანმა ხმა არ ამოიღო. კრებამ დაამტკიცა საბჭოს მოხსენება.

◆ ტვერის საგუბერნიო საბჭოს სასტატისტიკო განყოფილების გამოძიებიდანა სჩანს, რომ წელს ტვერის გუბერნიის ზოგიერთ მაზრაში ცუდი მოსავალი ყოფილა.

◆ ამ დღეებში ფინლიანდიის საიმპერატორო საბჭოს გადაუცია განსაკუთრებულ კომისიისათვის ფინლიანდიის სამრეწველო გამგეობის მიერ შემუშავებული პროექტი ჰელსინგფორსის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში რუსულ ენის სწავლების გაფართოვების შესახებ.

◆ ვარშავის რკინის გზაზე, პსკოვის ახლოს, ბოროტ-მოქმედთ, ღამე, 3 ოქტომბერს გაუძარცვავთ კასა და ბაგაჟის ვაგონი და სასიკვდილოდ დაუჭრიათ მატარებელზე მოსამსახურენი.

◆ პეტერბურგში არსდება ახალი საზოგადოება „სბლიჟენიე,“ რომელსაც აზრადა აქვს, შეისწავლოს რუსეთის სახელმწიფოს ერების ცხოვრება და შეჰკრიბოს მასალები მათი მოგმარეობის შესახებ. საზოგადოება ეცდება სხვა-და-სხვა ერი გააცნოს ერთმანეთს და ხელი შეუწყოს იმათ დაახლოვებას.

◆ „ბესარაბეც“-ში დაბეჭდილია ბესარაბიის გუბერნატორის განკარგულება: მიესაჯოს სამს ებრაელს ორის თვითა და ორს ერთის თვით დაპატიმრება. ამათ 20 სექტემბერს მონაწილეობა მიიღეს კიშინევში ალექსანდროვის ბაღში მომხდარ უწესოებაში: ორს ოფიცერს ბაღში სეირნობის დროს გზა შეუკრეს, შეურაცხყვეს, ყვირილითა და სტვენით შეჰკრიბეს ოფიცრების, გარშემო რამდენიმე ასი კაცი და მით დაარღვიეს საზოგადო წესიერება.

◆ როგორც „რუსსკ. ვედ.“-ის კორესპონდენტი უიუწყება, ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნიის მაზრებში გლეხობა, მოუსავლობისა გამო, დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილი. მოუსავლობით უფრო დაზარალებულ ნიჟეგოროდის, გორბატოვის და არზამასის მაზრებში მძვინვარებს სახადი და ქუნთრუშა. ქუნთრუშის გაძლიერებას ხელს უწყობს უჭმელობა; გლეხობა შინაურ საქონელს ჩალის ფასად ჰყიდის, ბავშვები-კი უძღოდ რჩებიან და სუსტდებიან. შინა-მრეწველობა დაცემულია, ხალხი სამუშაოს ვერსად ჰპოულობს. ამას ზედ ერთვის ხშირი გამანადგურებელი ცეცხლი. გუბერნიის მდგომარეობა წარმო-

ფელეტონი

პატარა ამბები

ერთის მწერლის შენიშვნები წარსულ ფელეტონის გამო.—რად არის დაცემული ჩვენი მწერლობა?—ბ ნ ლოლუას წიგნაკი.

Delenda Carthago! მართალია, მე დიდებულის რომის მოქალაქე არა ვარ. ჩემი სამშობლო მძლავრი იმპერია არ არის. ჩემი გული კატონისებურ პატრიოტიზმით არაა ანთებული, არ მინდა მისებრ ძალმომრეობა ვიხმარო ვისმეზე, მაგრამ ყოველი დამაბრკოლებელი მიზეზი თავისებური კართაგენია. არ შემიძლია ამით არ დავიწყო ჩემი საუბარი; არ შემიძლია ამით არ დავამთავრო ჩემი საუბარი! როდესაც წყრომით და უკმაყოფილოდ შემომხედავს მკითხველი, წაიკითხავს და მწუხარედ გადააგდებს ჩემს ფელეტონს, როდესაც ვერ ჰპოვებს შიგ, რაც სწყუროდა; როდესაც ირგვლივ გონებით შიშვლებს, სულით ღატაკებს ვხედავ მხოლოდ; როდესაც ადამიანი ქუჩის ქალივით ვაჭრობს თავისის სულით; როდესაც ყველაფერი დავიწყებულია, დაგმობილია, ფეხით გათელილია მხოლოდ ერთის პირადის გაძღომისა და მონურის მშვიდობიანობისათვის; როდესაც ვხედავ ღატაკს მწერლობას, ღატაკს ხელოვნებას, მეცნიერებას, სუსტს გულს, ცხოვრების აჩრდილს მხოლოდ, ძირში მოსპობილ მოძრაობას, უიმედობას,—მაშინ...

არა, მკითხველ, ყველაზე უწინარეს ეს მითხარით ჯერ: გაქვთ თქვენ უფლება ბედნიერის ცხოვრებისა, რის ბედნიერის, ისე ცხოვრებისა? გაქვთ ეს უფლება და გწამთ თქვენ იგი?—უკაცრავად ასეთის კითხვისათვის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უმრავლესობა თქვენგანი თავის გულის სიღრმეში მეტყვის: არაო!..

ყველაფერი ეს გაკვრით იყოს და უფრო პრაქტიკულს საგანს შევეხოთ. მწერლისათვის, მით უმეტეს, როდესაც იგი ჩემისთანა პატარა მწერალია, ისე სასიამოვნო და გამამხნევებელი არა არის, როგორც ვისიმე სულის ამოძრავება, ცოტათი არის, მაინც გამოფხიზლება. საუკეთესო ჯილდო მწერლისათვის ის არის, რომ მისმა ნაწერმა მკითხველებს სხვა-და-სხვა აზრები აღუძრას, აალაპარაკოს საზოგადოება, დააინტერესოს. თავმოწონებად და ტრაბახობად ნურავინ ჩამომართმევს, თუ ქვემოდ მოვიყვან ერთის ჩვენის მწერლის სიტყვებს ჩემდამი მოწერილს. ავტორი ეხება საზოგადო საგანს და არა ჩემს პირადობას, ამიტომ სრული უფლება მაქვს მოვიყვანო მისი წერილი.

„...თქვენს ფელეტონში აღძრულია მრავალი საჭირ-ბოროტო კითხვა—მწერს ავტორი: ყველას არ შევეხები. მსურს ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ თქვენის მეგობრის შემდეგის აზრის გამო: „აიღეთ ისტორია. განა შესაძლებელია, ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფ ერს არ აინტერესებდეს და არ აინტერესებდეს ნამეტნავად თავისი წარსული? მაგრამ არამც თუ არავითარი წარმოდგენა არა აქვს ჩვენის ისტორიის შესახებ ქართველ საზოგადოებას, **იმ ორიოდე ქართველ ისტორიკოსსაც არ შეუსწავლია საგანი საფუძვლიანად**. არ არის მოთხოვნილება სერიოზულის ცოდნისა“. ასეთი მწარე სიტყვები ჩვენის ისტორიკოსების შესახებ სხვისაგანაც ბევრჯელ გვსმენია. მაგრამ ყველა ასეთი წილადობილა უსაფუძვლოა. მე თუ მკითხავთ, ჩვენი ისტორიკოსები სწორედ გმირები არიან. იმ დროს, როდესაც ქართველ საზოგადოებას ზურგი შეუქცევია თავისის წარსულისათვის, როდესაც ამ წარსულის შემსწავლელთ ეს საზოგადოება დამპალ-დუმპალის, დახავსებულის ძველმანის მქექებლად უწოდებს, თვით ეს, „მქექელები“ დიდის ბეჯითობით სწავლობენ ჩვენ წარსულს, ქართველი ერის მრავალ საუკუნოვან ისტორიას და ამასთანავე იბრძვიან ლუკმა პურისთვის, რომ ცოლშვილი შიმშილით არ დაეხოცოთ. ჩვენში თვით მეკარნახესაც ერთი ბენეფისი მაინც ერგება ხოლმე და ჩვენის წარსულის მკვლევარსა და მის „მეკარნახეს“ კი არა თუ ბენეფისი, ცალის სიტყვით დახმარება და წაქეზება არა ხვდება მთელს სიცოცხლეში, და არა თუ ესე, პირიქით მრავალს დაცინვასა და ქირდვას ითმენს. ამისთანა მდგომარეობაში არიან ჩვენი ისტორიკოსები და თქვენ და თქვენი ნაცნობი-კი უკიჟინებთ მათ, რიგიანად საგანი არ იციანო?

„საქართველოს ისტორია მეტად გრძელია. იგი არ არის შესწავლილი მონოგრაფიულად, რომ ეს მონოგრაფიები მასალად გამოიყენოს ისტორიკოსმა. ისტორიკოსი თვითონ იკვლევს კერძო კითხვებსაც და მთელს ისტორიასაც. კერძო კითხვათა რიცხვი ხომ უთვალავია. დიდის შრომით ადგენს ისტორიას და აწვდის საზოგადოებას. საზოგადოება-კი გულცივად ეკიდება ასეთ გამოცემებს, არ კითხულობს მათ. მშრომელთ შრომა შრომად ეკარგებად და ფული ფულად, რადგან თვითონვე თავისის ხარჯით ბეჭდვენ წიგნებს. ხშირად წიგნი კიდეც იყიდება, მაგრამ გამყიდველები უმეტეს ნაწილად თვითონ სარგებლობენ აღებულის ფულით. ამისთანა მაგალითი ჩვენ ვიცით არა ერთი. და ამის შემდეგ ჩვენს მწერლებს გული მაინც არ უგრილდებათ და ისევ განაგრძობენ საყვარელს საქმეს, რადგან იციან, თუ დღეს არ ფასდება მათი შრომა, მომავალში დაფასდება; თუ დღეს არავითარს ყურადღებას არ აქცევენ მდიდარს ქართულს ისტორიას, მომავალში მიაქცევენ.

„თქვენისთანა მსაჯული ჩვენს ისტორიკოს მკვლევარების ნაწერებს ადარებს ვებერისას, შლოსერისას, ნიბურისას და სხ. და ხმა მაღლა გაიძახის: ჩვენი ისტორიკოსები არ ვარგანანო, როდის გვეყოლებიან ჩვენ ვებერები და ნიბურებიო! ჯერ ერთი რომ ვებერ-შლოსერისთანა ისტორიკოსები მთელს მსოფლიოშიაც თითო ოროლაა და მეორეც—ვებერ-შლოსერისთანა ისტორიების წერასაც ბევრი საფანელი უნდება, სახელდობრ: მოცალეობა, შემუშავებული მასალები, კარგი მოწყობილობა, კარგი წრე, განათლებული, შეგნებული, თანამგრძნობი და გულ-შემატკივარი საზოგადოება... ჩვენში ყველა ამას არ დაგიდევენ, ოღონდ ითხოვენ ჩინებულად შედგენილს ისტორიას, რომელსაც, როგორც ვსთქვით, თითო ოროლას გარდა არავინ კითხულობს. იკითხეთ, რამდენი ცალი გაიყიდა ცაგარლისა, ხახანაშვილისა, მარრისა, ბროსსესი, ბაქრაძისა, ჯანაშვილის, თაყაიშვილის ნაწერები და დარწმუნდებით, რომ ძალიან ცოტა გაყიდულა, ძალიან ცოტა ისტორიული წიგნი გავრცელებულა საქართველოში.

„ვიმეორებ, მრავალი მხარე ჩვენის ისტორიისა ჯერეც გამოუკვლეველია მონოგრაფიულად. არ არის შეკრებილი აურიცხველი წარწერა ტაძრებისა და სხვა და სხვა შენობებზე ამოჭრილი. მარტო ეს წარწერები რომ შეკრებილიყო და ახსნილ-შესწავლილიყო, რამდენსამე ტომს შეადგენდა. ხოლო ეს წარწერები-კი იგივე ხელთ-უქმნელი და

ადგენს გულის შემზარავ სურათს. შიმშილობა მეტი თუ არა, ნაკლები მაინც არ არის 1891 წლის შიმშილობაზედ.

◆ მოსკოვის ობერ-პოლიცმეისტერმა ამ დღეებში აცნობა ქალაქის საბჭოს, რომ 500 ახლად მიმატებულ პოლიციელთათვის იარაღის სასყიდლად ქალაქმა 2500 მანეთი უნდა გადაიხადოსო. საბჭომ უარი განაცხადა ამ ფულების გადახდაზე.

◆ როგორც „პრიდნ. კრ.“ იუწყება, ეკატერინოსლავში გენ.-ლეიტ. ცერპიცკიმ დაათვალიერა შორეულ აღმოსავლეთში გასაგზავნი რაზმი.

დაბა-სოფლები

ცაგერი (ლეჩხუმი). გათავდა ცაგერის ენკენობა (იარმარკა). ენკენობა წელს ბევრად უარესი იყო, ვიდრე წინად. ვაჭრები წინად თუ ქუთაისსა და ზუგდიდიდან მოდიოდნენ, წელს ბევრი ლაილაშიდანაც არ მოსულა. ჯოგებიც ნაკლებად იყო წელს. მიზეზი იარმარკის ასე ჩამოქვეითებისა არ ვიცით. ამინდები მეტად ცუდი დაუდგა, გამუდმებული ავდრებია. ჭორნახულზე სულ ვაი-ვაგლახი ისმის. ბევრის მოლოდინის შემდეგ ეღირსა ღერჩის საზოგადოება ხიდის აგებას, მაგრამ წინ-დაუხედავმა მტერმა რიონმა ბევრ ხანს აღარ აცალა ხალხს ამ ხიდით სარგებლობა და ამ დიდის ავდრების დროს ერთიან აიღო და მოიტაცა.

ლაჯანელი ბანოვანი

სამტრედია (იმერეთი). არ იქნა, ორ დღეს ვერ ვეღირსეთ მზიანს. ხშირად 10—15 დღეობით წვიმა-ნიაღვრის მეტს ვეღარასა ვხედავთ. ყანები ერთ-თავად დალპა და დაიღუპა. თუ რომელიმე ადრე ნათესი, ან მაღლობ ადგილზე შერჩა პატრონს, ისიც გამოუსადეგარია. მარცვალს ვერ ამოარჩევთ ისეთს, რომ შიგნით თეთრი მატლი არ იჯდეს. ძველ სიმინდსაც ჰეჰელა გამოაჩნდა. მარცვალს მხოლოდ გარეგნული სახე შერჩენია და შიგნით კი მთლად ცარიელია. რომ გასტეხოთ, იპოვნით ჰეჰლის, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, მატლის ნაჭუჭს და იმისავე მტვერივით ნაგავს. გლეხობა დიდ დრტვინვაშია.

ბევრი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი იყო საკვირაო სკოლის დაარსებაზე, მაგრამ ამდენ ვაი-ვაგლახს ვერავითარი ნაყოფი ვერ მოჰყვა: სკოლა ჯერაც ვერ მოეწყო. ყველა ადგილობრივმა მასწავლებლებმა აღუთქვა დახმარება, მაგრამ, როცა საქმეზე მიდგა, ყველანი მიიმალნენ.

ფუტკარი

ს. დრანდა (აფხაზეთი). სოფელ ვლადიმირკაში ერთი ღარიბი რუსის გლეხი სალათას ძილში ჩავარდა, ექვსი დღე იცოცხლა მძინარემ და მეშვიდეს გარდაიცვალა. შემწეობა იმისათვის არ აღმოუჩენიათ, რადგან ადგილობრივმა მამასახლისმა დროზე არავის აცნობა და თვითონ გლეხი კი უპატრონო და უმწეო იყო. ავადმყოფობა აქეთ საზოგადოდ ხშირია და ბევრი ხალხიც იხოცება უწამლოდ და უექიმოდ. მიზეზი ამისა არის არა სიღარიბე, არამედ ცრუ-მორწმუნეობა. ავადმყოფის პატრონი მიდის მკითხავთან, ხოლო მკითხავი კი, მასავით უვიცი, ეუბნება, ესა და ეს ხატი მოილოცე, საკლავი შესწირე და განიკურნება შენი ავადმყოფიო. გლეხსაც ან ძროხა ან ხარი მიჰყავს ხატთან და, სანამ დაბრუნდებოდეს, ავადმყოფი წუთი-სოფელს ესალმება. მკითხავზე არა ნაკლებად მავნენი სოფელ-სოფელ მაწანწალა ექიმბაშები არიან. ესენი ზოგი შელოცვით და შეფერილ წყლით აქიმობენ, ზოგი კიდევ ერთნაირ სალებინებელს ატარებს ჯიბით და ცოტ-ცოტა ალევინებს.

ყველა ამასთან ერთად ხალხი დაასაწყლა ქურდობამ. ღამე არ გაივლის ისე, რომ ვისმე რამ არ მოჰპარონ: მიჰყავთ ცხენი, კამეჩი, ხარი და ძროხა. საერო დარაჯთა რიცხვი აქეთ მცირე არ არის, მაგრამ... ქურდობა არ კლებულობს, თუ არ მატულობს.

აქაური

სასამართლო

მკვლელობა ცოლის მიზეზით

8 ოქტომბერს დუშეთში ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე სოფელ სტეფანწმინდის მცხოვრებ ნიკოლოზ იოსების ძის ფირცხელაურისა, რომელსაც ჰბრალდებოდა მეზობლის სიმონ გიგაურის მოკვლა. როგორც საქმიდანა სჩანს, შარშან 3 აგვისტოს, წავახშმევს სიმონ გიგაური წავიდა თავის სახლიდან და შინ აღარ დაბრუნდა. რადგან შინაურებმა არ იცოდნენ, სად წავიდა, ძებნა არც-კი დაუწყეს. გავიდა ორი დღე და გიგაური მაინც არსად სჩანდა. მაშინ ეს ამბავი ძმებმა შეატყობინეს ჯერ სოფელს, მერე პოლიციას. პოლიცია შეუდგა გიგაურის ძებნას. ძებნის შემდეგ სოფლიდან 4 ვერსის მანძილზე თერგში ჰნახეს გვამი. აღმოჩნდა, გიგაური მოეკლათ ტყვიით. ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ გამოარკვიეს ვინაობა მკვლელისა. მოკლულის სახლის მახლობლად საბალახოა, სადაც იმ ღამეს, რა ღამესაც მკვლელობა მოხდა, ება ორი ცხენი: ერთი ბოძზე იყო მიბმული თოკით, მეორე კი ბორკილ-გაყრილი მინდორში სძოვდა. მეორე დილას ჰნახეს, რომ ბოძზე მიბმული ცხენი ვიღაცას აეშვა და ამასთან თოკიც მოეჭრა. ამ გარემოებამ გამოძიებას აფიქრებინა, რომ გიგაურს ცხენის ქურდისათვის მიუსწრია და, რადგან ქურდებს ცხენის წაყვანა ვერ მოუხერხებიათ, მოუკლავთ გიგაური და თერგში გადაუგდიათ. ეს მოსაზრება არ გამართლდა, რადგან 30 აგვისტოს ქვეშეთის ბოქაულთან მივიდა ნიკოლოზ ფირცხელაური და განაცხადა, გიგაურს ჩემს ცოლთან მოვასწარ და მოვკალიო. ფირცხელაურის ცოლმა განაცხადა: 3 აგვისტოს გარედ გამოვედი, ვიღაც უცნობი კაცი შემეხეჩა და ხელი მომავლო მკლავზეო. შიშისაგან დავიკივლე. კივილზე ჩემი ქმარი გამომეშველა და თოფი ესროლა. უცნობი კაცი გაიქცა. როცა შინ დავბრუნდი, ქმარი ჩამაცივდა მეთქვა იმისთვის, ვინ იყო ის კაცი. დამიწყო ყვედრება, მღალატობო და რადგან ეჭვი მიიტანა, ვითომ მიხეილ გიგაურს ვყვარობდი, დამემუქრა, შენც მოგკლავ და გიგაურსაცო. როცა თერგში გიგაურის გვამი იპოვნეს, ფირცხელაურის ცოლი დაჰმუქრებია: დამეხსენი, ნუ მტანჯავ, თორემ გაგამხელ, რომ გიგაურის მკვლელი შენახარო. ამ გარემოებას ისე შეუფიქრიანებია ფირცხელაური, რომ თითონ გამოტყდა.

8 ოქტომბერს ამ საქმის განხილვის დროს ფირცხელაური ყველაფერში გამოტყდა და განუცხადა: 3 აგვისტოს, 1902 წ., როდესაც ღამე გამომეღვიძა, ვნახე, რომ ჩემი ცოლი ჩემ გვერდით აღარ იწვა. ჯერ ჩემი ძმის ოთახში შევიხედე და, როცა იქ არ იყო, ჩამოვიღე გატენილი თოფი და, გავედი ეზოში. უმთვარო ღამეში ძლივს გავარჩიე ორ არსების აჩრდილები. ამ დროს შემომესმა ქალის ხმა, „ჩქარაო“, რაზედაც კაცმა მიუგო: „რისა გეშინიან, აგერ არა მაქვს ჩემი ხანჯალიო“. ახლო მივედი და დავრწმუნდი, რომ ჩემი ცოლი ვიღაც უცხო კაცთან სამრუშოდ გამოსულიყო. ისე გავბრაზდი, რომ თოფი გავისროლე. კაცი გაიქცა. ცოლი შინ დაბრუნდა. როცა შევედი სახლში, ცოლი, ძუძუ-მწოვარა ბავშვით ხელში, დაჩოქილი შემეხვეწა მეპატიებინა იმისთვის ეს საქციელი. ბრალდებულმა ისიცა სთქვა: არ ვიცი გიგაური როგორ ჩავარდა თერგში, მაგრამ მგონია-კი, გიგაურმა ვეღარ აიტანა სირცხვილი, რომ სხვის ცოლთან მიასწრეს და დასჰრეს და წყალში თავის დახრჩობა ამჯობინაო.

ოლქის სასამართლომ ნიკოლოზ ფირცხელაური დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა ზოგიერთ განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 3 წლით გაგზავნა.

II

მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინად სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე: გორის მაზრის მცხოვრებთა გიგოლა, სანდრო, მაქსიმე, ჯიბრაელ და მაქსიმე გოგიჩაშვილებისა, რომელთაც მომრიგებელ-შუამავლის თავ. ვეზირიშვილის მოკვლა ჰბრალდებოდათ. პალატამ გადაუწყვიტა ამათ ყოველისავე უფლება-ღირსების ჩამორთმევა და კატორგაში გაგზავნა: გიგოლას, მაქსიმეს და სანდროს ათ-ათის წლით, ხოლო ჯიბრაელს და მაქსიმეს 12 წლით. ბრალდებულთ საქმე სენატში გადაიტანეს. სენატმა, როგორც პალატას ეცნობა, გოგიჩაშვილების საჩივარი უყურადღებოდ დასტოვა.

III

ტფილისის ოლქის სასამართლომ გუშინ წინ განიხილა შემდეგი საქმე. ტფილისის მცხოვრებმა ბარბარე ბაბანასოვმა სასამართლოს წარუდგინა ვექსილი, რომლითაც 3200 მან. ედავებოდა ტფილისის მოქალაქეს დავით ზეინალოვს. მოწმების ჩვენებით გამოირკვა, რომ ვექსილის დაწერას სხვა სარჩული ჰქონია და ზეინალოვს ბაბანასოვისა ერთი კაპეიკიც არა ჰმართებია. საყურადღებო ის არის, რომ ვექსილს არ დაჰყაბულდა სასამართლო და საქმის გამოსარკვევად მოწმეებს გამოჰკითხა. სასასამართლომ ვექსილი გააუქმა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 ოქტომბერი

იზმაილი. ბერლინის ხელ-შეკრულობით ბესარაბიის სამხრეთ-ნაწილის რუსეთთან შემოერთებიდან 25 წლის იუბილეს დღეს საკრებულო ტაძრისა და სამრევლო სამღვდელოებამ საგანგებოდ მორთულ-მოკაზმულ ტაძრის მოედანზე სადღესასწაულო პარაკლისი გადიხადეს. საღამოს ქალაქი გააჩირაღდნეს. დაადგინეს, ამ შემთხვევის სამახსოვროდ აუგონ ძეგლი იმპერატორს ალექსანდრე მე-II-ს.

იარენსკი. საერობო კრებამ დაადგინა: ვიშუამდგომლოთ მიწათ-მოქმედების მინისტრის წინაშე, დაგვეხმაროს აგრონომის მოწვევასა და სასოფლო-სამეურნეო საჩვენებელ დაწესებულების მოწყობაში და გავხსნათ 8 საზაფხულო თავ-შესაფარი და სახალხო ბიბლიოთეკა.

რომი. როგორც გაზეთები ამბობენ, ახალ კაბინეტის შედგენას ჯიოლიტის მიანდობენო.

ბელგრადი. ორმავე რადიკალურმა კლუბმა გადასწყვიტა, ერთ პარტიად შევერთდეთო. რადიკალურ ფრაქციების შეერთებას მცხოვრებნი დიდის სიხარულით მიეგებნენ. ამის მეოხებით გრუიჩის კაბინეტი ძალას იძენს თავის მოქმედებისათვის.

კონსტანტინეპოლი. ბოლგარიის მთავრობამ შეატყობინა პორტას, მეორე ხარისხის სათადარიგო ჯარსაც დავითხოვო. ნაჩევიჩმა ოფიციალურად განაცხადა, 5000 კაცი შემდეგ ხარისხის სათადარიგო ჯარისა უკვე დათხოვნილია; თოფ-ქვეშ ეხლა რჩება მარტო ერთი ხარისხი. ხვანთქრის გუშინდელ ირადეში ნაბრძანებია, დაითხოვონ ილავეში მყოფი ოსმალეთის ჯარი. მაკედონიიდან იტყობინებიან, რაზმების წინამძღვრები ხალხს შინ ითხოვენო. მეორე ირადეში ნაბრძანებია, მაკედონიაში სამხედრო კომისია დაარსდეს მომხდარ ძალ-მომრეობის გამოსაძიებლადო. კომისიის წევრად დანიშნულია სხვათა შორის გენერალი აუდერ-ფაშა და რიუდგი-ფაშა.

ტოკიო. იაპონიის სახელმწიფოს გავლენიან პირთა კონფერენციას ალბად ხვალ მოიწვევენ. მოელოდებიან, რომ კონფერენციის გადაწყვეტილებას ძლიერ დიდი გავლენა ექმნება მომავალ საქმეთა მიმდინარეობაზედ. პეკინიდან იტყობინებიან, რუსეთის ელჩმა პრინც ცინს ნოტა ჩააბარაო. ნოტაში ელჩი აცხადებს, იაპონია რომ მანჯურიის საქმეში გაერიოს, რუსეთი იძულებული იქნება, უფრო გაბედულად მოიქცეს და, თუ ვინიცობაა, ჩინეთიც იაპონიას მიემხრობა, მაშინ რუსეთი ჩინეთსაც სამაგიეროს გადაუხდისო.

11 ოქტომბერი

სარატოვი. საერობო კრებამ ის აზრი გამოსთქვა, რომ 1864 წლის საერობო წარმომადგენლობას უნდა დაუბრუნდეთო; ქალებიც მივიღოთ წარმომადგენლებათაო და აგრეთვე ისინი, რომელთაც საადგილ-მამულო ცენზი არ აქვთ, მაგრამ ადგილობრივ ცხოვრებასთან მჭიდროდ არიან დაკავშირებულნიო. კრებამ გამოაცხადა სურვილი, რომ სრულად აღდგენილ იქმნეს ერობათა უფლებანი 1864 წელში გამოცემულის დებულების თანახმად და საარჩევნო ცენზიც 75

„ქართლის ცხოვრება“-ზე არა ნაკლები ისტორიაა საქართველოს ერისა. ბევრი ამ წარწერიდან, მეტადრე ამ ბოლო დროს, დაიკარგა, ბევრი დაამტვრიეს ან დაიპარეს. ვინ არის პატრონი? ჩვენი საზოგადოება ყველა ამის შეკრებასაც ავალებს ისევ იმ ისტორიკოსებს. გამოდის, რომ ჩვენმა ისტორიკოსმა ყოველივე თვითონ უნდა შეასრულოს და მზა-მზარეულად მიართვას საზოგადოებას. მაშინ მოთხოვეთ ისტორიკოსებს მეტი, როდესაც თქვენც მეტად დაეხმარებით დღევანდელს „უხეირო“ ისტორიკოსებს სიტყვით, თანაგრძნობით, საქმით...

„დიაღ, საზოგადო მოღვაწეებს დღეს ფასი და პატივი არა აქვთ. პირ-იქით, ვინც გაიძახის: დღეს ჩვენი ქვეყანა აყვავებულიაო, ასეთ ცრუ და მოღალატე „მოღვაწეებს“ ჩვენი უსუსური საზოგადოება ზიზღითა და გმობით-კი არ ხვდება, არამედ ხელ-გაშლით, დიდებითა და ზეიმით“...

⁂

პატივცემულ ავტორის სიტყვებში აქ ყველაზე უფრო საყურადღებოა ჩემთვის ერთი გარემოება, თუ როგორ მეტად ცუდ პირობებში უხდებათ შრომა ჩვენებურ ისტორიკოსებს: არამც თუ ლუკმა პურს ვერ შოულობენ თავისის შრომით—პატივისცემა და მადლობაც არა აქვთ მოპოებული საზოგადოებაში. რა არის ამის მიზეზი?

ამის მიზეზი ისაა, რის გამოც დღეს ჩვენში საზოგადო მოღვაწეობას მხოლოდ შიმშილი, მწუხარება და უდროვოდ სიკვდილი მოაქვს მოღვაწისათვის. ჩვენი თეატრები უმეტეს შემთხვევაში ცალიერია. ჩვენებურს გაზეთს ათასი ხელისმომწერი ძლივს ჰყავს. ჩვენი საუკეთესო ავტორების ნაწერები ძლივს იყიდება ას-ასი ეგზემპლიარი წელიწადში.

რა არის ამის უმთავრესი მიზეზი? ჩვენი სიღარიბე? არა. ჩვენი სიღარიბე კიდევ გვეყოფოდა, რომ შეგვემოსა და შიმშილით არ მოგვეკლა ჩვენი საზოგადო მოღვაწენი!

უცხო თეატრმა, უცხო გაზეთმა, უცხო მწერლობამ დასცა, ჩააქვავა, დააუძლურა ჩვენი ხელოვნება და მწერლობა. არავინ დადის ქართულ თეატრში, როდესაც შეუძლია წავიდეს უცხო წარმოდგენაზე, რომელიც უკეთ მოწყობილ-მორთულია. არავინ ჰკითხულობს ქართულ გაზეთს და წიგნს, რადგან უცხოელები უკეთესს წიგნებს და გაზეთს აწვდიან. საშინელი ბრძოლაა ორს არა-თანასწორ ძალთა შორის. ჩვენმა მწერლობამ უნდა დასძლიოს არამც თუ ჩვეულებრივი დამაბრკოლებელი მიზეზები, რომელნიც წინ ეღობებიან საზოგადოდ ყოველს განვითარებას, ამასთანავე უნდა გაუმკლავდეს ძლიერ კონკურენტს. ბრძოლა ადვილი იქმნებოდა, რომ კონკურენცია თავისუფალი იყოს, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ერთი განსაკუთრებით კარგს პირობებშია ჩაყენებული, მეორე განსაკუთრებით ცუდს პირობებში...

ჩვენი ცხოვრება განზრახ ისეა მოწყობილი, რომ მოგვისპოს მიდრეკილება ჩვენებურ განათლებისა, მწერლობისა, ისტორიისა, ხელოვნებისადმი. დაბადებიდანვე იმას ვხედავთ, რომ ყველაფერს ჩვენებურს უკანასკნელი ადგილი უნდა ეკავოს. არა-ქართულიც უფრო გვესმის. ვის არ უნახავს განათლებული ქართველი, როდესაც ერთი და იგივე ტექსტი ქართულადაც აქვს დაბეჭდილი და არა-ქართულადაც: უკანასკნელს ჰკითხულობს, უკანასკნელს უფრო გავიგებო. ჩვეულება, თუნდ ძალ-დატანებითი ჩვეულებაც იყოს იგი, ძალა-უნებურად ადამიანის სულიერ თვისებად ხდება და ამის შედეგი ყველაფერში სჩანს...

ასეთია ჩვენი მდგომარეობა, ასეთ გასაჭირშია ჩვენი განვითარების საქმე. მით უმეტეს მადლობა და სახელი იმ მოღვაწეებს, რომელნიც უშიშრად, იმედ-დაუკარგავად მაინც განაგრძობენ შრომას. მართალია, მეტად სუსტია დღევანდელი ჩვენი მწერლობა, სუსტად ცემს ჩვენი საზოგადოებრივი მაჯა, მაგრამ ეს განა იმას ნიშნავს, რომ უნიჭოა ჩვენი ერი, უსიცოცხლო, განვითარება შეუძლებელია მისთვის, არა აქვს მომავალი?... მიეცით უკეთესი პირობები და მაშინ ნახავთ, თუ როგორის სისწრაფით წავა წინ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, როგორ ძლიერი იქნება მაჯის ცემა!

**

Ceterum censeo! დიახ, ceterum censeo,—მკითხველო...

სიტყვის ძალა და მნიშვნელობა იმით განიზომება, თუ როდის და რა ალაგას არის წარმოთქმული. ამ დღეებში გამოვიდა ერთი პატარა წიგნაკი, რომელიც, რაც შეიძლება, ბევრი უნდა გავრცელდეს სამეგრელოში. ეს წიგნაკია „სამეგრელოს საერო სკოლები“, იგი ეკუთვნის ჩამომავლობით მეგრელს (ლ. ლოლუას) და ეხება ქართული ენის გამოძევების საქმეს სამეგრელოს სკოლებიდან. ავტორი აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ სკოლას ხალხის ცხოვრებაში და შემდეგ ამბობს, რომ სახალხო სკოლა მხოლოდ მაშინ შეასრულებს თავისს მაღალს დანიშნულებას, „როდესაც დავალებული ექნება, ასწავლოს ბავშს წერა-კითხვა და მიაწოდოს სხვა ცოდნაც დედა-ენაზე და არა უცხო ენაზე. უცხო ენის ასოებისა და სიტყვების სწავლის პროცესი ვერ შეჰქმნის იმას, რასაც სკოლისაგან მოველით, ვერ შეჰმოსავს მომავალის მუშაკს შრომის გამანაყოფიერებელის იარაღით“.

როგორც სხვა ქართველებისთვის, ისე მეგრელებისათვისაც სკოლაში საგნების სწავლება უნდა იყოს ქართულს ენაზე. საუბედუროდ ამას ვერ ვხედავთ დღეს და „სამეგრელოში სკოლებზე გაწეული შრომა და ხარჯი სულ უბრალოდ დაკარგულია. ქართული წერა-კითხვა ბავშებმა არ იციან, რადგან არ ასწავლიან; რუსულს თუმცა ასწავლიან, მაინც ვერ სწავლობენ (როგორც უცხო ენას)...

„თუ ასე სავალალოდ არის ჩვენი საერო სკოლა, რომელსაც დღეს დავალებული აქვს ასწავლოს ბავშს რუსული ენა და წერა-კითხვა, სულ სხვა გვარად წავა საქმე მაშინ, როდესაც სკოლას დავალებული ექმნება ქართული წერა-კითხვა და თვით სწავლა ქართულ ენაზე იქმნება. აქ ჩვენ ამის დამტკიცებას ვერ გამოვუდგებით, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მეგრელი-ბავში ისე კარგად შეითვისებს სკოლაში ქართულს წერა-კითხვას და სხვა საგნებს ქართულს ენაზე, როგორც იმერელი, ქართლელი და კახელი“...

ძველი ჭეშმარიტებაა, რომ სამეგრელოს სკოლებში, როგორც სხვა საქართველოს სკოლებშიაც სწავლა უნდა იყოს ქართულად; რომ მეგრელების დედა-ენა იგივე ქართულია, როგორც დანარჩენ ქართველებსა, რომელთანაც მეგრელებს ჰქონიათ და აქვთ საერთო ჭირი და ლხინი. ძველი ჭეშმარიტებაა, რომლის განმეორება საჭიროა კიდევ და კიდევ.

ვისურვებ, ყოველის მეგრელის ყურამდის მიაღწიოს ბ-ნ ლოლუას სამართლიანმა სიტყვებმა.

სიტყვა

დესეტინამდე შემცირდესო. ყველა ამ დადგენილებათ ხმოსანი-გლეხნი ერთხმად მიემხრნენ.

თეირანი. ტელეგრაფის შავთულები, რომელსაც ინგლისის მთავრობა შუა სპარსეთში ჰმართავს, ქირმანამდი უკვე გააბეს. სულ 900 მილის მანძილზე უნდა გაიმართოს ტელეგრაფი. აქედან 430-და დარჩენილა გასაკეთებლად.

სოხუმი. გემი „პრინც ოლდენბურგსკი“ გუდაუთის ახლო ზღვის ქვეშ კლდეს დაეჯახა. მგზავრნი და გემზე მოსამსახურენი გადაარჩინეს.

არიოლი. სამაზრო საერობო კრებამ დაამტკიცა საზოგადო სამუშაოთა გეგმა იმ დროისათვის, თუ სიმშილობა ჩამოვარდება.

ფრიდენსბორგი. ინგლისის დედოფალი ლონდონს წავიდა.

ბერლინი. ელექტრონის მსწრაფლ მატარებელთა საზოგადოების ვაგონმა დღეს ერთს საათში 207 კილომეტრი გაირბინა.

პარიზი. იაპონიის აქაური საელჩო გადაჭრით უარ-ჰყოფს იმ ხმას, ვითომ რუსეთსა და იაპონიას შუა ომი გამოცხადდაო.

პეტერბურგი. ფოსტა-ტელეგრაფის მთავარი სამმართველო აცხადებს: მოსკოვსა და ხარკოვს შუა ქარიშხალმა და წვიმა-თოვლმა იმდენი ბოძი დაამტვრია, რომ პეტერბურგიდან და მოსკოვიდან ხარკოვსა, კურსკს, არლოვს, როსტოვს და მოსკოვს ქვევით სხვა ქალაქებში პირდაპირი გადაცემა დეპეშასა დროებით შეწყვეტილია. დეპეშები გარშემო გზითა და რკინის გზით იგზავნება, თუმცა მატარებლები, დიდი თოვლის გამო, იგვიანებენ.

სოფია. საარჩევნო ბრძოლა დღითი-დღე მწვავდება. მთავრობის მომხრენი ზოგიერთ ოლქებში თავიანთ კაცებს ამზადებენ, ოპოზიციის კანდიდატები სდევნონ; ოპოზიციის კანდიდატების სადგომებს გარს ეხვევიან, ასე რომ გარედ გამოსვლა უძნელდებათ გა ზეთები იუწყებიან, საზღვრებზე ახალი შეტაკება მოხდაო. რილსკის მონასტირის ახლოს მეამბოხეთა რაზმებს დაუშერიათ და დაუნგრევიათ ოსმალელების სიმაგრე.

პეტერბურგის ბირჟა, 7 ოქტომბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,70	
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	—	
ლონდონისაზე ჩეკები	94,55	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	36,60	
ბირჟის დისკონტი	5-$6^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$99^1/_2$ გაყ.	
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—	
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ.	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მ.მ. ბანკ.	$95^1/_8$	გაყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	443	გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	332	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	$282^1/_2$	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—	
$4^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად.	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	91 /ı	„
$4^1/_2$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	$193^1/_2$	

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3 სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2 სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის;

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 3). წ. სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 1 ს. 3 წ. (2 ს 1 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ. 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.; 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ.) (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

მალე, კარგად და იაფად

ვაუწყებ საზოგადოებას, რომ ვიღებ შესაღებავად და გასაწმენდად ყოველგვარ „მატერიას“ და ტანსაცმელებს ყოველნაირ ფერებისას, სურვილისამებრ. შეკერილი ტანისამოსი შეიძლება სამკაულიანიც იყოს და პალტოები—ტყავის სარჩულიანი,—ვღებავ დაურღვევლად. ამ საქმეში იმდენად დახელოვნებული ვართ, რომ ჩვენს ფირმას მთელი რუსეთი იცნობს. ყველას შეუძლია პირადად დარწმუნდეს. სახელოსნო იმყოფება ავჭალის ქუჩაზე, სახლი № 68, „ფრანგული სამრეცხაო“ ყოფილი ტელქოვისა. განყოფილება არსებობს მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 59.

პატივისცემით **ივანოვი შვილით და**

(5—164—1) **კალევიჩი**

ფული

მოვიწადინე შეკრება ძველის ქართულის ფულისა და ტფილისში მოჭრილ რუს-ქართულ ფულისა. ყველა ამგვარ ფულს ვღებულობ ძვირფას საფასურით დღეიდან სამის თვის განმავლობაში, სახაზინო თეატრის გვერდით, ნომერა „ლივადია“-ში (№ 15).

(1—167—1) **გიორგი ლამბარაშვილი**

იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

მოკლე ისტორია საქართველოსი

სურათებით

შედგენილი ვ. ო. ურუშაძის მიერ

ფასი 25 კაპ. (3—1)

ქართველ-ქალთა საზოგადოების

სამკერვალოში

პირველ ოქტომბრიდან დაიწყო **საღამოს კურსები ჭრა-კერვისა** ინტელიგენტ ქართველ-ქალთათვის.

ვერა, მოსკოვის ქუჩა № 6

ქუთაისში

სამ. ა. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წ. კ. საზოგადოებისა“, № 62

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტით და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელის ლექსიკონით.

ფასი სამი აბაზი. 50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზე და თითო ცალი ღირს ერთ მანეთად. წიგნში XXXX 361 გვ. (უ. 3—1)

კბილები

და მათი მოვლა-შენახვა

საჯარო ლექციები სამხედრო-სამკურნალო აკადემიის პრივატ-დოცენტის პ. თ. ფედოროვისა, თარგმანი კბილის ექიმის ი. პ. ახალშენიშვილისა. ტექსტს 7 ნახატი აქვს დართული. გამოცემა კ. ჯ—სა, ფასი 40 კაპ.

იყიდება:

ქართვ. წიგნ. გამომც ამხანაგობის კიოსკში, მთარგმნელთან და „ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ტელეფონი № 741 **დაარსების მიზანი** ტელეფონი № 741

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობისა

ი ყ ო დ ა ა რ ი ს

მხოლოდ საუკეთესო საქონლით ივაჭროს და მცირე სარგებლით კმაყოფილ იქნეს. ამხანაგობა სცდილობს ყველა საქონელი სატახტო ქალაქების ფასებში ჰყიდოს, ამიტომ მყიდველთ ეთმობა 5—10 პროცენტი ტფილისის ფასებთან შედარებით. სწორედ ამ მოსაზრებით, რომ საქონელი გაიიაფოს, ამხანაგობამ დაიქირავა მაღაზიები **არა გამოსაჩენ ადგილზე** კავკასიის მუზეუმის პირდაპირ, „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество Фармацевтовъ. ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, Фармацевтика.

ტელეფონი № 69



კავკასიის მთავარი სააგენტო გრამოფონის საზოგადოებისა რუსეთში.

ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი, აბიანცის სახლი, № 7.

შესამჩნევად დაკლებულია გრამოფონის ფასები.



მოიპოვება მრავლად სასალონო და საკონცერტო გრამოფონები.

„**მონარხი**“ ტიპი A, ნაცვლად	175 მ.	125 მ.
„ „ B „	150 „	100 „
„ „ C „	125 „	80 „
„**ჩუდო**“, დახურ., მოსამ. 1 დიდ პლასტინაზე, ნაცვლად	40 მ.	30 მ.
„**შტანდარტ**“, დახურ. მოსამ. 2 დიდ პლასტინაზე, ნაცვლად	60 „	40 „
„**უნივერსალ**“ გამშვენიერებული	65 „	50 „
„**გრანდ**“, საკონ. პატ. რუპ.	100 „	65 „

მრავლად არის უხმო პლასტინები.

„**გიგანტი**“ (დიამეტრი 12).	5 მ.	—
გრანდ „Extra“	4 „	—
„ ჩვეულებრივი	2 „	50 კ.
პატარა „Extra“	2 „	—
„ ჩვეულებრივი	1 „	25 კ.
ტამანიო	10 „	—

ლიბრეტო ა. დ. ვიალცევასი 30 კ. ალბომი.

საკონცერტო რუპორი და კოხტა დასადგმელი ერთად 60 მ. დაწევებული.

ესევე და საგრამოფონო აპარატი ერთად 100 მ. დაწევებული.

საწყობთან არის საკონცერტო საგრამოფონო სალონი, სადაც დაინტერესებულთ შეუძლიანთ ყოველდღე, კვირეებს გარდა, დილით 8-დან საღამოს 8 ს. მოისმინოს უსასყიდლოდ ახალი პლასტინები.

ძველ პლასტინის შეცვლა ახალზე შეიძლება ერთი ერთზე: პატარისთვის გამოირიცხება 25 კ., დიდისთვის—50 კ.

საწყობთან არის განსაკუთრებული სახელოსნო, სადაც საუკეთესო ტეხნიკოსები მუშაობენ.

მრავლად არის უხმო პლასტინები შესანიშნავ მომღერალთა ნამღერის გადაღებული. არის სიმღერები **რუსული, ქართული, სომხური, თათრული, სპარსული, ოსმალური,** პოლონური, ფრანგული, ინგლისური, იტალიური, გერმანული და სხვა.

მრავლად არის სხვა და სხვა ნომრები სამღერლებისა და ორკესტრებისა რუსულ და უცხოელ რეპერტუარებისა.

რუსულ რეპერტუარის პლასტინებზე გადაღებულია ნამღერი რუსის ოპერისა და ოპერეტის შემდეგ მომღერალთა: **შალიაპინისა, ფიგნერისა, ტარტაკოვისა, დავიდოვისა, სობინოვისა, სევერსკისა, არხანგელსკისა, იუჟინისა, სვეტლანოვისა, ავგუსტოვისა, კამიონსკისა, ბუხტოიაროვისა; ქ-ნთ მედეია ფიგნერისა, მიხაილოვასი, ვიალცევასი, რაისოვასი და სხვათა.**

გაფრთხილება

რადგან ჩვენი ნაწარმოების მოთხოვნილება დღითი-დღე იზრდება, ამ ბოლოს დროს გაჩნდა ყალბი აპარატები, ჩვენის აპარატების მინაგვარი.

რათა ჩვენი მუდმივი მუშტარი არავინ მოატყუოს, ვაცხადებთ საყოველთაოდ, რომ ჩვენ გრამოფონებსა და პლასტინებს ქარხნის დაღი აქვთ „მწერალი ანგელოზი“ და პასუხს ასეთებისთვის ვაგებთ.

სხვა აპარატები და პლასტინები, რომელთაც აღნიშნული „დაღი“ არა აქვთ, ყალბად და უვარგისად უნდა ჩაითვალონ.

საწერი მაშინები «ლამბერტ»

◆ ფასი 50 მან. ◆

მოითხოვეთ დაწვრილებითი აწერილობანი

პროვინციელებს საქონელი გაეგზავნებათ ფასდადებით ბეს მიღების შემდეგ. **გაგზავნა** რკინის გზის ყველა სადგურებზე ევროპის რუსეთში (ზავოხულობით ნავთსადგურებშიაც) საწყობის ხარჯითა ხდება. ფოსტის გასაგზავნისას საწყობი ნახევარს კისრულობს. ჩალაგება ხდება მყიდველის ხარჯით.

პრეისკურანტები, კატალოგები და პირობის სიები იგზავნება და იძლევა **უსასყიდლოდ.**

შეკვეთილი საქმე სრულდება დაუყოვნებლივ და სინიდისიერად.

მოითხოვეთ ახალი პლასტინები **ფ. ტამანიოს, ა. ბატისტინისა, ი. ქარუზოს** მიერ შესრ. სიმღერებისა.

(1—1)

Дозв. ценз. Тифлисъ 11 Октября 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).